

საიდ. №71469/03

გ ა დ ა ო ო კ ე კ ტ ი ლ ე ბ ა №24-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ქ. (თავმჯდომარე), გ. დ. ლ. ახოძაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „გალაჰერ ლიმიტიდ“-ის (Gallaher Limited.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №24-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1713/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „SOBRANIE LONDON WHITE RUSSIAN 100's TRADITIONAL BLEND“ (საიდ. №71469/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1713/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "SOBRANIE LONDON WHITE RUSSIAN 100's TRADITIONAL BLEND" შეცდომაში შეყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, ვინაიდან განმცხადებელი რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას "RUSSIAN", რაც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „გალაჰერ ლიმიტიდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-4 მუხლის „თ“-ის თანახმად. აპელანტის პოზიციით, იგი არის მფლობელი სასაქონლო ნიშნისა “SOBRANIE BLACK RUSSIAN” რეგისტრაციის ნომრით №2595, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია 1996 წლიდან და ის ძალაშია. ამ სასაქონლო ნიშნით დაცული თამბაქოს ნაწარმი წარმოდგენილია საქართველოს ბაზარზე საკმაოდ დიდი ხანია და არ ყოფილა გამოთქმული რაიმე სახით მომხმარებელთა უკმაყოფილება მასზედ, რომ სიგარეტის კოლოფზე დატანილმა სიტყვამ “RUSSIAN” შეცდომაში შეიყვანა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ. აღნიშნული სასაქონლო ნიშნით მონიშნული პროდუქცია და მისი მწარმოებელი კარგად არის ცნობილი ქართველი მომხმარებლისათვის და შესაბამისად, ის არ იქნება შეცდომაში შეყვანილი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ სადავო ნიშნით, რომელიც შეიცავს სიტყვა “RUSSIAN” და რის საფუძველზეც ექსპერტიზამ სრულიად უსაფუძვლოდ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება. აპელანტის მითითებით, გარდა ამისა სასაქონლო ნიშანი “SOBRANIE“ სიტყვა „RUSSIAN“- თან კომბინაციაში რეგისტრირებულია რუსეთის გარდა მრავალ ქვეყანაში იგივე კომპანიის სახელზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1713/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „SOBRANIE LONDON WHITE RUSSIAN 100's TRADITIONAL BLEND” (საიდ. №71469/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ”.

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „SOBRANIE LONDON WHITE RUSSIAN 100's TRADITIONAL BLEND” მცდარ წარმოდგენას შეუქმნის მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მიმართ, რადგან განმცხადებელი კომპანია რეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში, ხოლო სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვას „RUSSIA”, რომელიც ქართულად რუსეთს ნიშნავს. განმცხადებელ კომპანიას და მის მიერ წარმოებულ პროდუქციას არანაირი კავშირი არ აქვს რუსეთთან და არც საქონლის ჩამონათვალი შეიცავს საქონლის რუსული წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას, შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლისათვის შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ სასაქონლო ნიშნის „SOBRANIE

LONDON WHITE RUSSIAN 100's TRADITIONAL BLEND” (საიდ. №71469/03)
რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ვ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „გალაჰერ ლიმიტიდ“-ის (Gallaher Limited.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1713/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ქ.

წევრები:

გ. დ.

ლ. ახოზაძე

